შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/90

თბილისი **24 ოქტომბერი 2019 წ.**

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე–9 მუხლის, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დებულების მე-10 მუხლის 10.6. პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის და “თამბაქოს კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლიელების საფუძველზე შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 30 აპრილის №01-01/28 ბრძანებასა და ბრძანებით დამტკიცებულ „შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში თამბაქოს მოწევის აკრძალვის მარეგულირებელი წესში“ ცვლილებების განხორციელების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. “თამბაქოს კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის შენობაში 2018 წლის 01 მაისიდან აიკრძალოს თამბაქოს მოწევა.
2. “თამბაქოს კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1^5 პუნქტის შესაბამისად შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევა დასაშვებია დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ სპეციალურად განსაზღვრულ ადგილას. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე გამოიყოს 20 კვ.მ-ამდე ფართობის შემდეგი სამი ადგილი:

   ა) უნივერსიტეტის შენობის მარცხნივ მდებარე ბუნგალო.

   ბ) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მარცხნივ მდებარე ღია დასასვენებელი ადგილი.

   გ) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის უკან მდებარე ღია დასასვენებელი ადგილი.

3. "თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებული <u>დანართით</u> № 1 განსაზღვრული მარეგულირებელი წესი.
4. "თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად უნივერსიტეტის ყველა შესასვლელში და სხვა თვალსაჩინო ადგილას განათავსდეს უნივერსიტეტის შენობასა და ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესები, შესაბამისი წარწერა და ნიშანი თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის თაობაზე. აგრეთვე იმ ფიზიკური პირის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და სხვა ინფორმაცია, რომელთან დაკავშირებაც იქნება შესაძლებელი თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესების დარღვევის შემთხვევაში.
5. დაევალოს კანცელარიას წინამდებარე ბრძანების გადაცემა უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისათვის.
6. ბრძანება საჯარო გაცნობისათვის გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს უნივერსიტეტის კომენდანტს.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი გიორგი მათიაშვილი

შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“

დამტკიცებულია რექტორის მიერ

ბრძანება № 01-01/28, 30 აპრილი 2018 წ.

შეტანილი ცვლილებები:

ბრძანება № 01-01/90, 24 ოქტომბერი 2019 წ.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში თამბაქოს მოწევის აკრძალვის მარეგულირებელი წესი

თბილისი

დანართი №1

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის მარეგულირებელი წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში გთუნი) თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის მარეგულირებელი წესი არეგულირებს "თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ" და 1^5 პუნქტით, ასევე ამავე მუხლის მე-8 პუნქტის „ა", „გ", „დ", და „ე" ქვეპუნქტებით საფუძველზე უნივერსიტეტში თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის წესებს.

მუხლი 2. თამბაქოს მოწევის აკრძალვა

2.1. "თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის შენობაში აკრძალულია თამბაქოს მოწევა.

მუხლი 3. თამბაქოს მოწევის შეზღუდვა

3.1. "თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1^5 პუნქტის შესაბამისად შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევა დასაშვებია დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ სპეციალურად განსაზღვრულ ადგილას.

3.2. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე გამოიყოფილია 20 კვ.მ-ამდე ფართობის შემდეგი სამი ადგილი:

ა) უნივერსიტეტის შენობის მარცხნივ მდებარე ბუნგალო.

ბ) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მარცხნივ მდებარე ღია დასასვენებელი ადგილი.

გ) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის უკან მდებარე ღია დასასვენებელი ადგილი.

მუხლი 4. პერსონალი და სტუდენტები ვალდებულება

4.1. გთუნი-ში დასაქმებული პერსონალი და სტუდენტები ვალდებულნი არიან დაემორჩილონ უნივერსიტეტში თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებით დადგენილ წესს.

მუხლი 5. თამბაქოს აკრძალვის/შეზღუდვის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა

5.1. "თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად უნივერსიტეტის ყველა შესასვლელში და სხვა თვალსაჩინო ადგილას განათავსდეს უნივერსიტეტის შენობასა და ტერიტორიაზე

თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესები, შესაბამისი წარწერა და ნიშანი თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის თაობაზე.

5.2. უნივერსიტეტის ყველა შესასვლელში და სხვა თვალსაჩინო ადგილას განთავსდეს კომენდანტის სახელი გვარი და ტელეფონის ნომერი. აღნიშნული წესების დარღვევის შემთხვევაში გთუნი-ს სტუდენტები და დასაქმებული პირები ვალდებულნი არიან დარეკონ მითითებულ ტელეფონის ნომერზე და შეატყობინონ კომენდანტს წესების დარღვევის თაობაზე.

მუხლი 6. წესის დარღვევა

6.1. გთუნი-ს პერსონალისა და სტუდენტის მიერ წინამდებარე წესის დარღვევის შემთხვევაში კომენდატი ვალდებულია განუმარტოს დამრღვევ პირს დარჩვევის შინაარსი და მისცეს გაფრთხილება.

6.2. დამრღვევის მიერ აღნიშნული წესის დარღვევის გამო შესაბამისი ორგანოს მხრიდან უნივერსიტეტის მიმართ საჯარიმო სანქციის გამოყენების შემთხვევაში, დამრღვევს დაეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რაც დაიქვითება მისი შრომის ანაზღაურებიდან ან სტუდენტის მიერ გადახდილი სწავლის საფასურიდან.

მუხლი 7.

7.1.წინამდებარე წესის შესრულების უზრუნველყოფაზე კონტროლს ახორციელებს გთუნი-ს კომენდანტი, რომელიც თავის მხრივ, დარღვევის შემთხვევის გამოვლენისას, მოხსენებით ბარათს წარუდგენს რექტორს შემდგომი რეაგირებისათვის.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1.წინამდებარე წესი ძალაში შედის რექტორის მიერ ხელმოწერისთანავე.

8.2.წესში ცვლიელებებისა და მატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ბრძანებით.